№385 2016 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
შპს „ემ-კვადრატისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით
პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა №1-ში მდებარე 289.50 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.24.08.102.01.500), პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „ემ-კვადრატს“ (ს/კ: 445454534).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ბ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 18 (თვრამეტი) თვის ვადაში, №05.24.08.102 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არანაკლებ 10 000

(ათი ათასი) კვ.მ ფართის მქონე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა (რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია განხორციელდეს №05.24.08.102 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი) და კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფა;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მრავალფუნქციური კომპლექსის ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში ამავე კომპლექსის მიწისზედა მე-2 სართულზე, საოფისე დანიშნულების სივრცეში, არანაკლებ 190 781 (ას ოთხმოცდაათი ათას შვიდას ოთხმოცდაერთი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარი) ღირებულების (რაც დადასტურებული უნდა იყოს შპს „ემ-კვადრატის“ მოთხოვნით შესრულებული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით) არანაკლებ 289.50 (ორას ოთხმოცდაცხრა და ორმოცდაათი) კვ.მ ფართის გარემონტებულ მდგომარეობაში (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) ელექტროგაყვანილობას, ბუნებრივი აირის გაყვანილობას, სველ წერტილებს (მოწყობილი ფილებით, ხელსაბან(ებ)ით და უნიტაზ(ებ)ით) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა;

ბ.გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, სსიპ - აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმთან 2015 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების აქტის შესაბამისად, №05.24.08.102.01.500 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში განთავსებული მოძრავი ქონების (მათ შორის, ბიბლიოთეკის საარქივო მასალების) უსასყიდლოდ გადატანა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არანაკლებ 150 (ას ორმოცდაათი) კვ.მ ფართის მქონე შენობა-ნაგებობაში და სსიპ - აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მიერ ამავე

ფართით უსასყიდლოდ სარგებლობის უზრუნველყოფა ამ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე;

ბ.დ) ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არა უმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში სსიპ - აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმსა და შპს „ემ-კვადრატს“ შორის 2015 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების აქტის შესაბამისად, ამ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტში მითითებული მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში უსასყიდლოდ გადატანის უზრუნველყოფა.

3. შპს „ემ-კვადრატი“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს არანაკლებ 190 781 (ას ოთხმოცდაათი ათას შვიდას ოთხმოცდაერთი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარი) ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**